პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 234 (3211)

3

1966 წ. დეკემბერი, შაბათი

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 23-ე წელი

დეპეშა რუსთავიდან

## ვადამდე და გადაჭარბებით!

მეტალურგთა ქალაქის ფიზკულტურულმა და სპორტულმა ორგანიზაციებმა 11 თვეში ბევრად გადააჭარბეს სპორტის ოსტატების, თანრიგოსნების, მშთ ნიშნოსნებისა და საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრების მომზადების წლევანდელ გეგმა-ვალდებულებას. მუშაობა გრძელდება.

ო. ჯიბაშვილი,
სპორტკავშირის თავმჯდომარე.

## საქართველოს ჩემპიონები ძალოსნობაში



რ. დათიკაშვილი



დ. ზანიძე



რ. ოგანესიანი



რ. გასპარიანი



ო. დემუროვი



ზ. კაკიძე



დ. მუშკუდიანი



მ. კალაშიანი

# ამომავალი მზის ქვეყანაში

### საბჭოთა ტანმოვარჯიშეების წარმატება

ნაგოია, 1 დეკემბერი. გუშინ აქ დამთავრდა სსრ კავშირისა და იაპონიის ტანმოვარჯიშეთა ნაკრები გუნდების შეჯიბრება. დაძაბული და წარმტაცი ბრძოლის შემდეგ იგი დამთავრდა საბჭოთა სპორტსმენების გამარჯვებით. ვაჟებმა მოიგეს შეხვედრა ანგარიშით 287,40 : 287,30, ხოლო ქალებმა უფრო დამაჯერებელ წარმატებას მიაღწიეს — 191,15 : 190,30.

იაპონელმა ტანმოვარჯიშეებმა შეძლეს შეემცირებინათ სხვაობა (0,75 ქულა), რომელიც სამი პირველი ვარჯიშის შემდეგ შეიქმნა. შეჯიბრების მეორე დღეს მათ გაიმარჯვეს ორძელსა და ღერძზე. სტუმრებმა პირველი ადგილი დაიკავეს ბჯენით ხტომებში, სადაც ღლემდე ისინი ხშირად უთმობდნენ პოზიციებს იაპონელ ტანმოვარჯიშეებს. საუკეთესო პირადი შედეგი მოიპოვა მსოფლიოს აბსოლუტურმა ჩემპიონმა მოსკოველმა მ. ვორონინმა — 58,20 ქულა. მეორე იყო ს. დიომიდოვი — 57,90. III ადგილი დაიკავა იაპონელმა ა. ნაკაიამამ — 57,80.

ქალთა შორის ლიდერს ნ. კუჩინსკაიას შეჯიბრების მეორე დღეს მრავალჭიდის ჯამში დაეწია ზ. დრუჟინინა. თვითეულს 38,75 ქულა ჰქონდა. კუჩინსკაიამ უკეთესი შეფასება მიიღო ბჯენით ხტომებში და ორძელზე, დრუჟინინამ კი თავისუფალ ვარჯიშსა და ძელზე. III-IV ადგილები გაიყვეს მასპინძლებმა — ტ. სიბუიამ და კ. იკედამ, რომლებმაც 38,20-38,20 ქულა მოაგროვეს.

ოთხი დღის შესვენების შემდეგ, რომლის დროსაც სსრ კავშირის ტანმოვარჯიშენი ეწვევიან იაპონიის ზოგიერთ ქალაქს. 5-7 დეკემბერს ისინი კვლავ შეხვდებიან იაპონელ სპორტსმენებს, ამჯერად, ტოკიოში.

## ცნობები კიევიდან, ბაქოდან

კიევი, 2 დეკემბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). მოჭადრაკე ქალთა საკავშირო ჩემპიონატში დღეს გაიმართა გადადებული პარტიების დამთავრება. მუსლიმოვა დანებდა ალექსანდრიას, კაკაბაძე — გოლოვეის, კახაბრიშვილი — ვოიციკს. კაკაბაძე — ბიკოვასა და ტიხომიროვა — კახაბრიშვილის პარტიები ყაიმით დამთავრდა.

10 ტურის შემდეგ ზატულოვსკაიას 8 ქულა აქვს, ალექსანდრიასა და იდელჩიკს — 7-7.

ბაქო, 2 დეკემბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). ერთდღიანი შესვენების შემდეგ ამიერკავკასიის საუკეთესო მოთამაშეები კვლავ მიუსხდნენ საჭადრაკო მაგიდებს. გუშინ გაიმართა X ტური, რომელმაც ასეთი შედეგები მოგვცა: გაფრინდაშვილი — ბუსლაევი 0,5:0,5, ბაგიროვი — ბოკუჩავა 1:0, პრივოროტსკი — პავლენკო 0,5:0,5, ლომაია — ფ. შახტახტინსკი 1:0. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

დღეს, XI ტურში, ყაიმით დამთავრდა პარტიები: პავლენკო — გიორგაძე, ლ. გრიგორიანი — კ. გრიგორიანი, ბუსლაევი — ჩიქოვანი და მაჭავარიანი — ბაგიროვი. ლომაიამ წააგო პრივოროტსკისთან. ა. შახტახტინსკი — გაფრინდაშვილის პარტია გადაიდო მსოფლიო ჩემპიონის უპირატესობით.

11 ტურის შემდეგ ლიდერობს ლ. გრიგორიანი (ერევანი) — 8 ქულა და 1 გადადებული პარტია.



როგორც ცნობილია, ამას წინათ კისლოვოდსკში გაიმართა საკავშირო ტურნირი ესტაფეტებში გაზეთ „სოვეტსკი სპორტის" პრიზზე. ქალთა ესტაფეტაში 4×100 მეტრზე შესანიშნავად იასპარეზეს თბილისელმა მძლეოსნებმა, რომლებმაც ყველაზე სწრაფად — 47,2 წამში გაირბინეს ეს მანძილი, თანაც, საქართველოს ახალი რეკორდი დაამყარეს.

სურათზე: თბილისელთა „ოქროს კვარტეტი" (მარცხნიდან მარჯვნივ) — ვ. ქუთათელაძე, გ. კონონენკო, თ. რომანოვა და ლ. იევლევა გამარჯვების შემდეგ.

ფოტო ბ. სვეტლანოვისა.

## სპორტული ფილმების დათვალიერება



სპორტული ფილმების გამოშვების გაფართოების, მათ შესაქმნელად ახალი შემოქმედებითი ძალების მიზიდვისა და ამ ფილმების იდეურ-მხატვრული დონის ამაღლებისთვის, მოსახლეობის ფართო ფენებში ფიზკულტურისა და სპორტის პროპაგანდის მიზნით რესპუბლიკის სპორტკავშირი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის კომიტეტი 4 დეკემბერს თბილისის სპორტის სასახლეში აწყობენ ქართული სპორტული ფილმების რესპუბლიკურ დათვალიერებას.

დათვალიერებაზე, რომელიც დიდი ოქტომბრის 50 წლისთავს ეძღვნება, ნაჩვენები იქნება შემდეგი ფილმები: „დაუმთავრებელი დღიური", „გულშემატკივრები", „უმბაზე ძლიერნი", „ფეხბურთის ოლიმპზე", „გაჭენდებიან ბედაურები", „ინგლისური დღიური", „ბასკები თბილისში", „ბურთი და მოედანი", აგრეთვე სპორტული კინოჟურნალები.

დასაწყისი 18 საათზე.

* * *

ჟიურის მიერ შერჩეული სამი საუკეთესო ფილმი დაჯილდოვდება სპეციალური პრიზებით.

გამარჯვებული კინოსურათები გაიგზავნება სპორტული ფილმების საკავშირო დათვალიერებაზე, რომელიც გაიმართება მოსკოვში 20-23 დეკემბერს.

# ჯანმრთელობა მთავარია!

რუსეთის ფედერაციის 30 მილიონამდე მცხოვრები დასვენების საათებს ფიზიკურ კულტურასა და სპორტს დაუთმობს. საბჭოთა ხელისუფლების 50 წლისთავისთვის სპორტულ ორგანიზაციებს ასეთი დავალება მისცა ნოემბრის ბოლოს მოსკოვში ჩატარებულმა რსფსრ-ს სპორტკავშირის საბჭოს VI პლენუმმა, რომელიც მიეძღვნა სკკპ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და რსფსრ-ს მინისტრთა საბჭოს მიერ ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების ღონისძიებებზე მიღებული დადგენილებების შესრულების მიმდინარეობას.

ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრიობაზე საქმიან საუბარში მონაწილეობდნენ საბჭოთა, პარტიული, პროფკავშირული ორგანიზაციების 500-მდე წარმომადგენელი, მოწინავე მეცნიერები, სპორტსმენები. მათ განიხილეს რუსეთის საბჭოს თავმჯდომარის ვ. ალიოხინის მოხსენება.

პლენუმზე აღინიშნა, რომ პარტიისა და მთავრობის დადგენილება ყველგან მიიღეს, როგორც მოქმედების საბრძოლო პროგრამა. იგი შესანიშნავ შესაძლებლობებს ჰქმნის, რათა მოკლე ხანში ფიზკულტურულმა მოძრაობამ, ახალგაზრდობის ფიზიკურმა მომზადებამ ნამდვილად საერთო-სახალხო ხასიათი მიიღოს. მაგალითად, დიდი შრომა წარმოებს ორენბურგის ოლქში, სადაც ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების საკითხი სკკპ საოლქო კომიტეტის ბიუროს მსჯელობის საგანი გახდა. უახლოეს ოთხ წელიწადში აქ აშენდება 145 სპორტული დარბაზი, 27 სტადიონი რაიონულ ცენტრებში, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობის მუშაკები მიიღებენ 700-ზე მეტ კომპლექსურ სპორტმოედანს.

ამჟამად რუსეთის ფედერაციაში გაიზარდა საწარმოთა, პროფკავშირთა, კოლმეურნეობათა სახსრებით აგრეთვე, თვით მშრომელების ძალებით სპორტნაგებობათა მშენებლობის ქსელი. სოფლებში ფიზკულტურული ბაზების გაფართოებას აქტიურად მოკიდეს ხელი კრასნოდარის მხარეში, როსტოვის, სარატოვის, კურგანის, ოლქებში, თათრეთისა და ბაშკირეთის ავტონომიურ რესპუბლიკებში.

ამასთან ერთად, ვ. ალიოხინმა აღნიშნა რომ, თუმცა უკანასკნელ ექვს წელიწადში ფიზკულტურელთა რიცხვი თითქმის ორჯერ გაიზარდა, მაგრამ 71 ოლქიდან, მხარიდან და ავტონომიურ რესპუბლიკიდან მასობრიობის დონე 55-ში შარშან უფრო დაბალი იყო, ვიდრე საშუალოდ ჩვენს ქვეყანაში. სპორტულ ორგანიზაციებს მხედველობიდან გამორჩათ 12 მილიონამდე მოსწავლე, 18 მილიონამდე სკოლამდელი, 600 ათასზე მეტი სტუდენტი და მილიონამდე ხანშიშესული ადამიანი.

უახლოეს წლებში რუსეთის ფედერაციაში ორჯერ გაიზრდება ფიზკულტურული კოლექტივების სპორტული სექციების რიცხვი. უკვე 1967 წელს გაიხსნება 200-მდე ბავშვთა და ჭაბუკთა სპეციალიზებული სკოლა. დიდი ყურადღება მიექცევა საწარმოო ტანვარჯიშს, ჯანმრთელობის ჯგუფებს, საერთო ფიზიკური მომზადების სექციებს, ტურიზმს, ნადირობას, თევზჭერას.

ჯანმრთელობა ხომ ყველაზე მთავარია! (საკდესი).

„ლელოს" შემდეგი ნომერი გამოვა 5 დეკემბერს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიისა და მთავრობის დადგენილება — მოქმედებაში!

# ჩვენ სამკერვალოდან ვართ!

ბათუმის სამკერვალო ფაბრიკაში ათასზე მეტი ქალი შრომობს. უმრავლესობა ფიზკულტურითა და სპორტითაა გატაცებული. ერთ-ერთი მათგანია ნინა პისტრიაკი, პირველთანრიგოსანი მოთხილამურე, აჭარის მრავალგზის ჩემპიონი და „განთიადის" (ცენ)ტრალური საბჭოს პრიზიორი, ფაბრიკის ფიზკულტურული საბჭოს აქტიური წევრი, ყველა შეჯიბრებისა და თაოსნობის სული და გული. წლეულს მან კიდევ ორი საწადელი აისრულა — ბათუმის პედინსტიტუტის სტუდენტი გახდა და სპორტის ოსტატის ნორმა შეასრულა საგზატკეცილო ველორბოლაში. ნინას წარმატება და მონდომება ყველა მისი ამხანაგისთვის საუკეთესო მაგალითია.

ფაბრიკაში ველოსპორტი ძალიან უყვართ. ამ სახეობის სექციაში 20 ახალგაზრდა მეცადინეობს სპორტის ოსტატ ე. სუსლოვის ხელმძღვანელობით. რეგულარულმა წვრთნამ ნაყოფიც კარგი გამოიღო. ბათუმის IV საიუბილეო სპარტაკიადაში, რომელიც ოქტომბრის 50 წლისთავს მიეძღვნა, ფაბრიკის ველოსიპედისტები „განთიადის" ღირსებას იცავდნენ და II ადგილი მოიპოვეს, ფიზკულტურის კოლექტივებში კი ტოლი არ ჰყავდათ. ახლა აქ გამალებით ემზადებიან აჭარის სპარტაკიადისთვის, რომელმაც საქართველოს რესპუბლიკური სპარტაკიადის საგზურები უნდა გასცეს.

ფაბრიკის ფიზკულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სათხილამურო სპორტსაც. მუშა-სპორტსმენები აქტიურად მონაწილეობენ მასობრივ შეჯიბრებებში, კროსებში. რეგულარულმა ტურნირებმა, საქალაქო და რესპუბლიკურ ასპარეზობებში ხშირმა მონაწილეობამ ხელი შეუწყო თანრიგოსან-მოთხილამურეთა აღზრდას.

სათანადო ყურადღება ექცევა ტურიზმსაც, რომლის გაძღოლა საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარეს რ. მარქარიანს ავალია. გატაცებული არიან თევზჭერითაც. ეს განსაკუთრებით ხანდაზმულებს მოსწონთ, ანკესებით შეიარაღდებიან ხოლმე და ჯგუფ-ჯგუფად მიდიან... კარგი გუნდიც ჰყავთ.

განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ მასობრივ-ფიზკულტურულ და სპორტულ მუშაობას ფაბრიკაში ძირითადად საზოგადოებრივი მწვრთნელები ხელმძღვანელობენ. კალათბურთელ ქალთა და ვაჟთა გუნდებს ინჟინერი მ. დიასამიძე ავარჯიშებს, ხელბურთელებს — მოტორისტი ე. კატიბა, მაგიდის ჩოგბურთელებს — ტ. სტრელცოვა...

სწორედ ფიზკულტურული კოლექტივის უნარიანი ხელმძღვანელობისა და სექციების ნაყოფიერი საქმიანობის შედეგია, რომ მოცურავე ნ. პაველოვამ, მოშაშე ნ. ჭანტურიამ, ძმებმა ა. და ტ. გოგიჩაიშვილებმა, გ. ჩხაიძემ დიდ ტურნირებშიც ისახელეს თავი. ფაბრიკის მოჭიდავეები კი აჭარის ჩემპიონები არიან.

წლევანდელი სეზონი განსაკუთრებით ინტენსიური იყო მუშა-სპორტსმენებისთვის. გაზაფხულის დამდეგიდანვე გააჩაღეს ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი შეჯიბრებები.

— სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს აგვისტოს დადგენილება „ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ" ამოცანად გვისახავს უფრო ფართოდ გავშალოთ მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობა. გვსურს გამაჯანსაღებელი ღონისძიებები ჩვენი საწარმოს ყველა მუშისა და მოსამსახურის დღის რეჟიმის განუყოფელ ნაწილად ვაქციოთ. ეს დიდად შეუწყობს ხელს შრომისნაყოფიერების ზრდას, — გვითხრა საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტმა ნ. შავდიამ.

ხომ ახლაც ნაყოფიერი და მრავალმხრივია ფაბრიკის ფიზკულტურელთა საქმიანობა, მაგრამ მათგან კიდევ მეტს



უნდა ველოდეთ. ამ კოლექტივს დიდი პოტენციალი აქვს, რომელსაც შეუძლია გამოავლინოს ახალი ტალანტები და გვჯერა, რომ შორს არ არის დრო, როცა აჭარისა და საქართველოს აქ აღზრდილი ჩემპიონები სიამაყით იტყვიან: „ჩვენ ბათუმის სამკერვალო ფაბრიკიდან ვართ!".

ი. ბერძენიშვილი.
(ჩვენი კორ.).

ბათუმი.

## სად იყვნენ რუსთაველები?

„შრომით რეზერვების" მძლეოსანთა შეჯიბრების დებულებაში გარკვევით წერია, რომ ტურნირში მონაწილეობა უნდა მიეღოთ თბილისისა და რუსთავის პროფტექსასწავლებლების სპორტსმენებს. მაგრამ ასპარეზობას თავი აარიდეს რუსთავის მე-3, მე-16 და მე-17 სასწავლებლების კოლექტივებმა. საინტერესოა რატომ?

შეჯიბრებაში 132 ათლეტი მონაწილეობდა. ჭაბუკებში ყველას აჯობეს თბილისის ინდუსტრიული ტექნიკუმის, ხოლო გოგონებში — 23-ე პროფტექსასწავლებლის მძლეოსნებმა.

რამდენიმე დამაკმაყოფილებელი მაჩვენებელი ჰქონდათ პირად ჩათვლაში მოასპარეზეებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ინდუსტრიული ტექნიკუმის გუნდის წევრის ვ. პოპოვის წარმატება. მან 190 სმ სიმაღლე გადალახა და პირველად შეასრულა I თანრიგის ნორმა. მისი თანაგუნდელები ო. ერისთავი და რ. წიკლაური საუკეთესონი იყვნენ შესაბამისად 100 (12,0) და 600 მეტრზე (1.32,9) რბენაში. ჭაბუკთა ბირთვის კვრა მოიგო ვ. კვანჭიანმა (49-ე სასწავლებელი) — 12,73, გოგონებში ამ სახეობაში ყველას აჯობა თ. გოდერძიშვილმა (23-ე სასწავლებელი) — 10,30 მ.

სამწუხაროდ, იყო შემთხვევები, როცა სპორტსმენები აშკარად მოუმზადებელი გამოვიდნენ სარბიელზე. მაგალითად, 300 მეტრზე გოგონათა რბენაში 12 მონაწილემ შეფასება ვერ მიიღო (აქ გაიმარჯვა 34-ე სასწავლებლის წარმომადგენელმა მ. სოხაძემ — 55,0); ი. მუშნიაშვილმა (36-ე სასწავლებელი) 100 მეტრის გარბენას 19 წამი მოანდომა; 26-ე სასწავლებლის მოსწავლე ჭაბუკებმა ბ. გობეჯიშვილმა და ა. ცუბაკაძემ სიმაღლეზე ხტომაში 135 სმ ძლივს დაძლიეს...

„შრომით რეზერვებში" იგრძნობა მძლეოსნობის განვითარებისთვის ზრუნვა, მაგრამ შედეგები ჯერჯერობით არადამაკმაყოფილებელია.

ვ. ბუკია.

---

ფიზკულტურის ქრონიკა

### ✦ თერჯოლა

სიმონეთის საშუალო სკოლის ტირში ჩატარდა „განთიადის" რაისაბჭოს პირველობა მცირეკალიბრიანი შაშხანით სროლაში. შეჯიბრებაში 10 გუნდი მონაწილეობდა. გაიმარჯვა მექანიკური ქარხნის კოლექტივმა. II ადგილზეა აჯამეთის სამშენ მასალათა კომბინატი, ხოლო III ჩხარის ფილების ქარხნის გუნდი. პირად ჩათვლაში ყველას აჯობა გ. მარგველაშვილმა (მექანიკური ქარხანა).

ლ. ჯიშიაშვილი.

---

# როცა ასეთი სიყვარულია...

ვანელმა მოსწავლეებმა თავიანთი რაიონული პირველობა ფეხბურთში დიდი ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავს მიუძღვნეს. შეჯიბრების ფორმულა მკაცრი იყო: ფინალში ბრძოლის გაგრძელების უფლება ქვეჯგუფებში გამარჯვებულ სამ გუნდს ეძლეოდა. საპრიზო ადგილებისათვის ჭიდილში თავდაპირველად 12 გუნდი ჩაება. ყველას სურდა თასს დაპატრონებოდა, მაგრამ თასი ხომ ერთი იყო და მოგეხსენებათ, იგი უძლიერესს ხვდებოდა წილად.

ვანში რომ ჩავედით, ქვეჯგუფებში შეჯიბრება უკვე დამთავრებული იყო და ფინალური თამაშები მიმდინარეობდა. ერთი სიტყვით, გადამწყვეტი ეტაპი დამდგარიყო. ვანის კიროვის სახელობის საშუალო სკოლის გუნდს სალხინოელი მოსწავლეებისთვის მოეგო (4:2). კიდევ ერთი გამარჯვება და ვანელები თასის მოპოვებას იზეიმებდნენ. დამკვიდრებული ტრადიციისამებრ, უმეტესობას ფავორიტად სწორედ კიროვის სახელობის სკოლის გუნდი მიაჩნდა.

მაგრამ ამ აზრს როდი იზიარებდნენ სოფელ შუამთის საშუალო სკოლის ნორჩები. მათ, ჯერ იყო და, ფავორიტები „მშრალი" ანგარიშით (3:0) დაამარცხეს (2 ბურთი გაიტანა თამაზ სულაბერიძემ, 1 — პეტრე ჩომახიძემ), შემდეგ კი ასევე მშრალზე „დასვეს" (2:0) სალხინოელები (გოლების ავტორები ისევ სულაბერიძე და ჩომახიძე იყვნენ). შუამთელებმა შესანიშნავად ითამაშეს, გამძლეობა, გამარჯვებისადმი დიდი სწრაფვა და, რაც მთავარია, კარგი ტექნიკურ-ტაქტიკური მომზადება გამოავლინეს და თასიც მათ ხვდათ.

შუამთელთა ფიზაღზრდის მასწავლებელს ი. მოლორავას ყველა ულოცავდა გამარჯვებას... მოსწავლეები, კოლეგები — ვანის საშუალო სკოლიდან ა. ნიკოლეიშვილი, სალხინოს სკოლიდან — ჯ. ლორთქიფანიძე.

ნორჩ ფეხბურთელთა ფინალურ მატჩებს რომ ვადევნებდით თვალს, უნებურად გავიფიქრე, კარგი იქნება ამ მატჩებს ესწრებოდეს ვინმე მათგანი, ვისაც რესპუბლიკაში მოზარდთა ფეხბურთის განვითარებისთვის პასუხისმგებლობა აკისრია, სპეციალისტის თვალით ნახოს — რა ნიჭიერი ბიჭები არიან შუამთაში, სალხინოსა და ვანში...

ბიჭების მხარდამხარ „იბრძოდნენ"... ფინალისტთა დირექტორებიც. აი, მოპაექრეები: ვანის კიროვის სახელობის საშუალო სკოლის დირექტორი მ. მესხი, შუამთის საშუალო სკოლის დირექტორი ს. ფარცხალაძე და სალხინოს საშუალო სკოლის დირექტორი ნ. ლორთქიფანიძე.

ტურნირის ბოლო შეხვედრა... სამივე დირექტორი ერთად ზის. გაფაციცებით გასცქერიან მინდორს. ხან ერთი, ხან მეორე მოწონების შეძახილებით ამხნევებს ნორჩ ფეხბურთელებს. ოღონდ ესაა „ბრძოლის ველისთვის" უჩვეულო: მეტოქის ყოველი ლამაზი ილეთი ისევე ახარებთ, როგორც თავიანთი გუნდებისა. თუმცა დროდადრო მაინც ედავებიან ერთმანეთს: არა ჩემი ბიჭები ჯობიან, არა ჩემიო... მაგრამ ეს პაექრობაც ხომ სპორტისადმი, აღსაზრდელებისადმი დიდი სიყვარულის მანიშნებელია. მ. მესხის სიტყვებით რომ ვთქვათ, მთავარი ის კი არ არის, ვინ გაიმარჯვებს ამა თუ იმ შეჯიბრებაში, არამედ ის, როგორ ვზრდით ნორჩ თაობას: მოსწავლეს ცოდნაც უნდა მისცე და ჯანიც უნდა გაუკაჟო.

მოსწავლეთა რაიონული პირველობა დიდი რანგის შეჯიბრებათა კატეგორიას არ მიეკუთვნება. მათზე, როგორც წესი, „ლელო" რამდენიმე სტრიქონით მოუთხრობს მკითხველს. ამჯერად ტრადიციას ვუღალატეთ. მოდი და ნუ უღალატებ, როცა თავად დაინახავ და შეიგრძნობ, თუ რაოდენი სიყვარულით, რარიგ ფაქიზად ეკიდებიან თავიანთ მოვალეობას ვანელი პედაგოგები.

ჯ. ენუქიძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ვანი.



ზღვისპირეთში ნამდვილი ოქროს შემოდგომაა. უმეტესად მზიანი ამინდი სპორტსმენებს ღია ცის ქვეშ ვარჯიშის საშუალებას აძლევს. ქობულეთელი ველოსიპედისტები ბევრს და ნაყოფიერად მეცადინეობენ ქალაქის მიდამოებში. ამ სურათზე თქვენ ხედავთ ბავშვთა სპორტსკოლის მოსწავლეებს. ვარჯიშს ატარებს საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების II კურსის სტუდენტი ა. მაგუსევი.

ფოტო ლ. ქარუმიძისა.



## ამაგდარი მწვრთნელი

სსრ კავშირის ნაკრების წევრების, თავისუფალი სტილის მოჭიდავეების ნ. ხოხაშვილის, ა. ცხოვრებოვის, მ. ჩიბურდანიძის სახელებს კარგად იცნობენ ჩვენს ქვეყანაში. მაგრამ, ალბათ, ბევრმა როდი იცის, რომ ამ განთქმული ფალავნების აღმზრდელი ილია ჩხარტიშვილია. ამ ამაგდარ მწვრთნელს გაუზრდია ბევრი სხვა ნიჭიერი ახალგაზრდა ათლეტიც, ახლა წარმატებით რომ გამოდის რესპუბლიკურ და საკავშირო სარბიელზე. მან (ნ. აკოფოვთან ერთად) აღზარდა მსოფლიოს ჩემპიონი რ. რურუა.

თავად ილია თავის დროზე კარგი მოჭიდავე გახლდათ — იყო „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს ჩემპიონი და სოფლის ახალგაზრდობის საკავშირო პირველობის პრიზიორი. 1954 წლიდან ჩხარტიშვილი თბილისის განათლების განყოფილების კომპლექსურ სპორტსკოლაში მუშაობს მწვრთნელად. 1956 წლიდან წვრთნის „კოლმეურნის" მოჭიდავეებსაც. იმავე წელს იგი სპორტის ოსტატი გახდა, ხოლო 1961 წელს საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიანიჭეს.

ილია ჩხარტიშვილს ორმოცამდე სპორტის ოსტატი ჰყავს მომზადებული. შარშან იგი საკავშირო კატეგორიის მსაჯი გახდა. სულ ახლახან კი, სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით მას სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის მაღალი წოდება მიენიჭა.

---

## „ლელოს" წერილების კვალდაკვალ

• 

## „რას ღაღადებს ცხრილი"

ჩვენი გაზეთის 5 ნოემბრის ნომერში ამ სათაურით დაბეჭდილ წერილში გაანალიზებული იყო რუსთავის IV საიუბილეო სპარტაკიადის შედეგები. სტატიაში, სხვათა შორის, გაკრიტიკებული იყვნენ „ქიმმრეწვმშენის", სარემონტო-სამშენებლო კანტორის, საბინაო-კომუნალური განყოფილების, რკინა-ბეტონის ნაგებობათა კომბინატისა და ცემენტის ქარხნის ფიზკულტურული კოლექტივები, რომლებმაც სპარტაკიადაში შემავალი 16 სახეობის ნაცვლად თითო-ოროლა სახეობაში მიიღეს მონაწილეობა.

როგორც რუსთავის სპორტკავშირის თავმჯდომარე ო. ჭებაშვილი გვატყობინებს, წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. აღნიშნული მდგომარეობის შესახებ იმსჯელა პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიურომ და მდგომარეობის გამოსასწორებლად სათანადო დადგენილებაც მიიღო.

ფეხბურთი

# ჩემპიონატის ბოლო მატჩი

თბილისი, „დინამოს“ სტადიონი. 1 დეკემბერი.

„ტორპედო“ (მოსკოვი) — „პახტაკორი“ (ტაშკენტი) 1:1 (0:1).

„ტ ო რ პ ე დ ო“: შაპოვალენკო, ანდრეიუკი, ვასილიევი (ჩუმაკოვი), სარაევი, ვორონინი, სტაფეროვი, ლენიოვი, კლიმოვი, შალიმოვი, ბრედნევი, მიხაილოვი.

„პ ა ხ ტ ა კ ო რ ი“: პშენიჩნიკოვი, ზაკიროვი, შტერნი, ნაუმენკო, სუინოვი, რახმატულაევი, იუნუსოვი, ინოიატოვი, ბექთაშევი, კრასნიცკი (სოლოხო), იბრაგიმოვი.

მსაჯი კ. ყრუაშვილი (თბილისი).

მატჩის მოგებაში, თუ მხედველობაში მივიღებთ მეტოქეთა სატურნირო მდგომარეობას, უფრო დაინტერესებული იყვნენ ტორპედოელები. 2 ქულის აღების შემთხვევაში ისინი 2 ადგილით ინაცვლებდნენ წინ და უსწრებდნენ როგორც თბილისის „დინამოს“, ისე ცსკა-ს. „პახტაკორი“ კი ერთი საფეხურით აღიოდა მაღლა — მოსკოვის „დინამოს“ წინ.

ერთი სიტყვით, „მატერიალური“ სარგებელი ორივე გუნდს ჰქონდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მატჩი ძალზე მონოტონური, უინტერესო გამოდგა, თამაშს არ ჰქონდა სპორტული დაძაბულობა და მოთამაშეთა მხრივ სეზონის დამთავრებისა და ვალის მოხდის სურვილი უფრო იგრძნობოდა.

პირველ წარმატებას ტაშკენტელებმა მიაღწიეს და საკმაოდ მოულოდნელ სიტუაციაშიც: ტორპედოელთა დაცვამ უყურადღებოდ დატოვა იბრაგიმოვი, რომელმაც ახლო მანძილიდან გახსნა ანგარიში — 1:0. ეს მოხდა მე-3 წუთზე და „პახტაკორს“ მაშინვე, წუთის შემდეგ ჰიეცა დაწინაურების საშუალება. იმავე იბრაგიმოვს ბურთი გადასცეს კარის წინ, მაგრამ იგი რატომღაც აჩქარდა.

მოსკოველები ტაიმის დამთავრებამდე ფლობდნენ საერთო უპირატესობას, შალიმოვს, ბრედნევს ჰქონდათ საპასუხო ბურთის გატანის შესაძლებლობანი, რომლებიც მათ მიერ არ იქნა გამოყენებული.

ანგარიში გათანაბრებულ იქნა მხოლოდ 74-ე წუთზე. კლიმოვმა მოულოდნელად დაარტყა საკმაოდ შორიდან, პშენიჩნიკოვმა წამით დაიგვიანა და... ჩემპიონატის ბოლო მატჩი ფრედ დამთავრდა.

რ. ქორიძე.

## 4:3

ზუგდიდი, 2 დეკემბერი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). გუშინ აქ გაიმართა ამხანაგური მატჩი ადგილობრივი „ენგურისა“ და თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა შორის. საინტერესო თამაში მოიგეს თბილისელებმა — 4:3. მასპინძელთა მხრივ ბურთები გაიტანეს კირიევმა, დოლბაიამ და ალმასიამ, ხოლო დინამოელთაგან — ბარქაიამ, ასათიანმა და იამანიძემ (2).

ბ. ალშიბაია.

„ჯ“ ჯგუფი I ჯგუფი

### გათამაშების საბოლოო ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (კიევი) | 36 | 23 | 10 | 3 | 66—17 | 56 |
| ასკ (როსტოვი) | 36 | 20 | 7 | 9 | 54—44 | 47 |
| „ნეფტიანიკი“ (ბაქო) | 36 | 18 | 9 | 9 | 56—28 | 45 |
| „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 36 | 15 | 12 | 9 | 45—41 | 42 |
| ცსკა | 36 | 16 | 9 | 11 | 60—45 | 41 |
| „ტორპედო“ (მოსკოვი) | 36 | 15 | 10 | 11 | 55—39 | 40 |
| „დინამო“ (თბილისი) | 36 | 13 | 14 | 9 | 47—34 | 40 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 36 | 12 | 14 | 10 | 43—34 | 38 |
| „პახტაკორი“ (ტაშკენტი) | 36 | 10 | 18 | 8 | 36—32 | 38 |
| „შახტიორი“ (დონეცკი) | 36 | 15 | 7 | 14 | 32—35 | 37 |
| „დინამო“ (მინსკი) | 36 | 11 | 13 | 12 | 36—39 | 35 |
| „კაირატი“ (ალმა-ათა) | 36 | 12 | 11 | 13 | 30—39 | 35 |
| „არარატი“ (ერევანი) | 36 | 12 | 10 | 14 | 30—45 | 34 |
| „ჩერნომორეცი“ (ოდესა) | 36 | 10 | 13 | 13 | 29—36 | 33 |
| „ტორპედო“ (ქუთაისი) | 36 | 9 | 10 | 17 | 44—59 | 28 |
| „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 36 | 10 | 8 | 18 | 35—54 | 28 |
| „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) | 36 | 11 | 5 | 20 | 34—49 | 27 |
| „კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი) | 36 | 4 | 17 | 15 | 18—40 | 25 |
| ასკ (ოდესა) | 36 | 1 | 13 | 22 | 16—56 | 15 |

ფეხბურთი



ს უ რ ა თ ზ ე: წლევანდელი, XXVIII საკავშირო ჩემპიონატის ბომბარდირთ-ბომბარდირი ი. დათუნაშვილი. ფოტო მ. ზარგარიანისა.

# ოცდამერვე დამთავრდა

**1 დეკემბერს თბილისის „დინამოს“ სტადიონზე შედგა სსრ კავშირის 1966 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის ბოლო მატჩი მოსკოვის „ტორპედოსა“ და ტაშკენტის „პახტაკორს“ შორის, შეივსო გათამაშების ყველა უჯრა.**

● ჩემპიონის წოდება, როგორც ცნობილია, გათამაშების დამთავრებამდე 1 თვით ადრე მოიპოვა კიევის „დინამომ“. ამავე გუნდს ერგო სპეციალურად დაწესებული პრიზების უმრავლესობაც· სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციისა ძირითადი და სათადარიგო შემადგენლობათა მიერ ნაჩვენები ქულების საუკეთესო ჯამისთვის; საკავშირო სპორტკავშირის ცენტრალური საბჭოსი — დუბლიორთა მიერ დაკავებული პირველი ადგილისთვის; ყოველკვირეული დამატება „ფუტბოლისა“ — დიდი ანგარიშით ყველაზე მეტი მოგებული მატჩისთვის (9), გ. ფედოტოვის სახელობის პრიზი — ყველაზე მეტი გატანილი ბურთისთვის (66).

ჟურნალ „ოგონიოკის“ პრიზი გადაეცა საუკეთესო მეკარეს — ლ. იაშინს (მოსკოვის „დინამო“). გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ პრიზი კორექტული თამაშისთვის. მიიღო ოდესის „ჩერნომორეცმა“, გაზეთ „სოვეტსკაია როსიას“ პრიზი გამარჯვებისადმი სწრაფვისთვის — ალმა-ათის „კაირატმა“.

XXVIII ჩემპიონატის საუკეთესო ხნაიპერის პრიზი დაისაკუთრა თბილისის „დინამოს“ თავდამსხმელმა ი. დათუნაშვილმა, რომლის ანგარიშზეა 20 გატანილი ბურთი. ი. დათუნაშვილი მიიღებს „ტრუდის“ რედაქციის თასს. საუკეთესო ბომბარდირთა სიაში შევიდნენ აგრეთვე: ა. ბიშოვეცი („დინამო“, კიევი) — 19, ბ. კაზაკოვი (ცსკა) და ნ. ოსიანინი („სპარტაკი“) — 15-15, ვ. კოზლოვი („ლოკომოტივი“), ო. კოპაევი, გ. მატვეევი (ორივე — როსტოვის ასკ) და კ. ტუაევი („ნეფტიანიკი“) — 14-14, ე. მარქაროვი, ა. ბანიშევსკი (ორივე — „ნეფტიანიკი“) და ე. სტრელცოვი („ტორპედო“, მოსკოვი) — 12-12. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ა. ბანიშევსკიმ საკავშირო ჩემპიონატში ჩაატარა სულ 14 მატჩი.

● ჩემპიონატის ყველა მატჩში მიიღეს მონაწილეობა ვ. შუსტიკოვმა („ტორპედო“, მოსკოვი), ვ. ტურიანჩიკმა („დინამო“, კიევი), დ. ბაგრიჩმა და ს. ვარგამ (ცსკა), ი. რიომინმა („დინამო“, მინსკი), ვ. ივანოვმა და ვ. ანიჩკინმა („დინამო“, მოსკოვი), ვ. კაზაჩოკმა (როსტოვის ასკ), პ. სადირინმა და ვ. ნეპომილუევმა („ზენიტი“), ვ. სემიგლაზოვმა („ნეფტიანიკი“), ვ. სოროკინმა („შახტიორი“), ე. მაიოროვმა და ი. კაპლინმა („კრილია სოვეტოვი“), პ. ცუნინმა („ჩერნომორეცი“) და ს. კუტივაძემ („ტორპედო“, ქუთაისი).

სულ გათამაშების 342 მატჩი ითამაშა 434 ფეხბურთელმა.

● ყველაზე სტაბილური შემადგენლობანი ჰყავდათ კიევის „დინამოსა“ და ტაშკენტის „პახტაკორს“, რომელთა მწვრთნელებმა ვ. მასლოვმა და მ. იაკუშინმა შეჯიბრებათა ოქმებში ჩაწერეს სულ 18-18 ფეხბურთელის გვარები. ამავე დროს, „ლოკომოტივის“ შემადგენლობაში მონაწილეობა მიიღო 31 ფეხბურთელმა, ხოლო ოდესის არმიელთა გუნდში — 28-მ.

● მეკარეებს რისხვად მოევლინა „კაირატის“ მცველი ვ. სტეპანოვი, რომელმაც 7-ჯერ აიღო მოწინააღმდეგეთა კარი. ნახევარმცველთაგან ყველაზე შედეგიანები იყვნენ ვ. პოლიკარპოვი (ცსკა) და ვ. მასლოვი („დინამო“, მოსკოვი), რომელთა ანგარიშზეა 8-8 ბურთი.

# აჩადარას მტვრიანი ბილიკებით

საბჭოთა კავშირის უძლიერესი მოტოციკლისტები ბევრჯერ სტუმრებიან აფხაზეთს. სოხუმში ისინი ხშირად აწყობენ სასწავლო-საწვრთნელ შეკრებას, შერჩევით შეჯიბრებებში ადგენდნენ ქვეყნის ნაკრებს... საერთაშორისო ტურნირებში, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებში საასპარეზოდ აფხაზეთს ბევრჯერ დაულოცია გზა მათთვის.

ტრადიცია წლეულსაც გაგრძელდა. სოხუმის მიდამოებში კვლავ აგუგუნდნენ მოტოციკლები, სპორტსმენებმა რამდენიმე ვარჯიში გამართეს და ფოთისკენ აიღეს გეზი, სადაც შეჯიბრების I ტური მოეწყო. შემდეგ სტუმრები სოხუმში დაბრუნდნენ და გასულ კვირას აჩადარას ძნელ ტრასაზე შეებნენ ერთმანეთს.

250 კბ სმ მოცულობის მოტოციკლებით რბოლაში მონაწილეობის სურვილი ორმოცმა სპორტსმენმა გამოთქვა, რის გამოც მსაჯთა კოლეგია იძულებული გახდა ტურნირი ორ ნახევარფინალურ სერიად გაეყო. ფინალში თითეული ნახევარფინალიდან 10 საუკეთესო გადიოდა. მაგრამ არც დამარცხებულნი დატოვეს გულნაკლული: მათთვის მოეწყო დამამშვიდებელი სერია, საიდანაც ბრძოლის გაგრძელების უფლება ექვს ეძლეოდა.

პირველი ნახევარფინალი. სტარტიდანვე დაწინაურდა სპორტსმენი, რომლის მანქანას № 37 ჰქონდა მიმაგრებული. ეს გახლდათ სპორტის დამსახურებული ოსტატი, სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი ი. გრიგორიევი (კიევი). მას კვალში მისდევდა რიგელი სპორტის ოსტატი გ. დრაუგსი, ბრძოლა განსაკუთრებით მეშვიდე წრის მერე გამწვავდა. დრაუგსმა შეძლო დაწინაურება და ნახევარფინალიც მოიგო. II ადგილზე დარჩა გრიგორიევი, III — ა. დეჟინოვი (ლენინგრადი).

მეორე ნახევარფინალში იმარჯვა სსრ კავშირის ჩემპიონმა, სპორტის ოსტატმა ა. იაკოვლევმა (კოვროვი), რომელმაც იოლად მოუგო უახლოეს მეტოქეს, ვეტერან ვ. ტიურინს (მოსკოვი).

ამრიგად, ფინალში 26-მა სპორტსმენმა მოიყარა თავი. მათ 14 წრე ჰქონდათ გასავლელი, ტრასა კი წინა სამმა რბოლამ იმდენად იავარქყო, რომ მოტოციკლისტები ახლა მტვრის კორიანტელში გაეხვივნენ: უკანანი ძლივსძლიობით ამჩნევდნენ წინ წასულთ... და მაინც რბოლა დაძაბულად მიმდინარეობდა. ისევ ი. გრიგორიევი და გ. დრაუგსი დაწინაურდნენ, მაგრამ რიგელს გამარჯვება, თურმე, არ ეწერა: საბურავის დაზიანების გამო იგი რბოლას მეცხრე წრეზე გამოეთიშა.

გაიმარჯვა ი. გრიგორიევმა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ა. იაკოვლევი, ა. დეჟინოვი, ვ. ტიურინი და 17 წლის ვ. ბრუნისი (რიგა).

გამარჯვებულთ გადაეცათ სოხუმის ორგანიზაციების საჩუქრები.

გაისად იანვარში აქვე შეგროვდებიან ჩვენი საუკეთესო მოტოციკლისტები, მარტში კი თბილისსა და სოხუმში სსრ კავშირის ჩემპიონობას გაითამაშებენ „250“ და „500“-ანებით.

ვ. სემიონოვი.

სოხუმი. (ჩვენი კორ.).

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: რბოლის ერთ-ერთი მომენტი.

ფოტო ავტორისა.



XXVI ჩემპიონატი

# ძნელი გზის ფათერაკები

კიევი, 2 დეკემბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). ბრძოლა ტურნირის „მიტელშპილში“ ძალზე დაიმუხტა. იგი აღსავსეა ფათერაკებით IX ტურში, რომელიც 30 ნოემბერს შედგა, ლიდერთა ჯგუფიდან მხოლოდ ზატულოვსკაიამ იმარჯვა. მან მოუგო ვოიციკს.

ალექსანდრიამ სიცილიურ დაცვაში მედიანიკოვასთან (შავები) მწვავე პოზიცია მიიღო: გამომწვევი სვლებით მან კიდევ უფრო გაამძაფრა თამაში. როგორც ჩანს, თბილისელმა შემდგომ ალღო ვერ აუღო ბრძოლის გზებს, შეცდა და დამარცხდა. მისი ხვედრი გაიზიარა რუბცოვამაც, რომელიც არჩაკოვას ეთამაშებოდა.

არც იდელჩიკს დაადგა კარგი დღე ჩაიკოვსკაიასთან შეხვედრაში. ფიგურის დაკარგვის შემდეგ იგი შეუპოვრად იგერიებდა მუქარებს და მხოლოდ პარტიის გადადება შეძლო, მაგრამ დღეს დათმო იგი.

სხვა შეხვედრების შედეგები ასეთია: კისლოვა — ბოიახჩიანი 1:0, გოლოვეი — რანიკუ 0:1, მუსლიმოვა — მოროზოვა 1:0. თანაბარ პოზიციაში გადაიდო ბიკოვა — კაკაბაძისა და ტიხომიროვა — კახაბრიშვილის პარტიები. კოზლოვსკაიას უპირატესობა აქვს სკეგინასთან.

გუშინ, X ტურში მხოლოდ ორი პარტია დამთავრდა: იდელჩიკმა პირდაპირი იერიშით მოუგო კოზლოვსკაიას, ხოლო რუბცოვა — მედიანიკოვას შეხვედრა ყაიმით აღინიშნა.

შესანიშნავად ითამაშა ალექსანდრიამ მუსლიმოვასთან. მართალია, მას წინა დღით განცდილი მარცხის შემდეგ გამარჯვება სწყუროდა, მაგრამ სრულებით არ ჩქარობდა იერიშის განვითარებას. თანდათან იგი დაეუფლა მყარ პოზიციურ უპირატესობას და მოგების შანსებიც შექმნა. პარტია დაუმთავრებელი დარჩა.

კაკაბაძემ თავიდანვე აგრესიულად შეუტია გოლოვეის. მან ჯერ ერთი, შემდეგ კიდევ ორი პაიკი შესწირა მეტოქეს, რათა მის მეფეს მიწვდომოდა. გოლოვეიმ კი ნიავიც არ გააკარა თავის გვირგვინოსანს და პარტია აშკარა უპირატესობით გადადო.

ჩაიკოვსკაიას და კახაბრიშვილს თითო პაიკი აკლიათ ბიკოვასა და ვოიციკთან გადადებულ პარტიებში. თუ პირველს ყაიმის შანსები აქვს ეტლების ენდშპილში, საქართველოს ჩემპიონის პოზიცია უპერსპექტივოა. უპაიკოდ არიან, აგრეთვე, ტიხომიროვა (ბოიახჩიანთან) და მოროზოვა (სკეგინასთან). თანაბარი მდგომარეობაა ზატულოვსკაია — არჩაკოვასა და რანიკუ — კისლოვას პარტიებში.

ტ. კრიუკოვა,

საერთაშორისო არბიტრი სსრ კავშირის XXVI ჩემპიონატის მსაჯი.

# შვეიცარიაში შეხვედრამდე!

ი. ავერბახი,
საერთაშორისო დიდოსტატი.

„არა მგონია, ოდესმე ყოფილიყო ამდენად მრავალეროვანი და სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე ხალხთა საერთაშორისო ტურნირი. ისიც უჩვეულოა, რომ 16 ქვეყანამ ერთ ტურნირში 70 საუკეთესო წარმომადგენელი გამოგზავნა, მათ შორის, 25-მდე აღიარებული ოსტატი!“ —ამ სიტყვებით იწყებოდა სახელმოხვეჭილი მოჭადრაკის ჰანს კმოხის კორესპონდენცია პირველ საჭადრაკო ოლიმპიადაზე, რომელიც 40 წლის წინ შედგა. ახლა ეს სტრიქონები უნებლიეთ ღიმილს იწვევს.

40 წელი დიდი დროა. ამ წლებმა ჭადრაკში ბევრი რამ შეცვალა. ჩვენს ქვეყანაში ეს ნამდვილად სახალხო თამაშად იქცა. გაიზარდა ჭადრაკის პოპულარობა სხვა ქვეყნებშიც. მსხვილ საერთაშორისო ორგანიზაციად იქცა ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაცია ფიდე, რომელიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობს მთელს მსოფლიოში.

როგორ შეიძლება ახლახან დამთავრებული XVII საჭადრაკო ოლიმპიადის შედარება პირველ შეჯიბრებასთან! იქ 16 ქვეყანა იყო წარმოდგენილი, აქ 52, იქ მხოლოდ ევროპის ქვეყნები ვიხილეთ, აქ კი ყველა კონტინენტისა. თანაც, როგორი ცვლილებებია შემადგენლობაში!

ახლა ოლიმპიადები უდიდესი შეჯიბრებებია, რომლებშიც მონაწილეობენ მსოფლიოს უძლიერესი დიდოსტატები, ოსტატებზე რომ არ ვილაპარაკოთ.

ჰავანა... აქ მიმდინარე პაექრობაზე ყოველდღე ველოდით ცნობებს. გულახდილად რომ ვთქვათ, ერთი წუთითაც კი არ შეგვპარვია ეჭვი, რომ ჰამილტონ-რასელის ოქროს თასი მისთვის ჩვეულ ადგილს — სსრ კავშირის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბს დაუბრუნდებოდა.

საქმე ის იყო, რამდენად გავუსწრებდით სხვა გუნდებს, დაგროვილი ქულების რა პროცენტი გვერგებოდა და შეძლებდა თუ არა საბჭოთა ოლიმპიური იქვსეული წაუგებლად ფონს გასვლას.

და აი, ჰავანაში ჩვენმა გუნდმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ საბჭოთა კავშირს ჭადრაკში ბადალი არ ჰყავს. 12 გამარჯვება და მხოლოდ 1 ფრე — ასეთია ჩვენი მოჭადრაკეების ტრიუმფალური გზა. ორი „მშრალი“ მოგება (დანიელებთან და ნორვეგიელებთან), სამი გამარჯვება (ბულგარეთის, ესპანეთისა და კუბის მოჭადრაკეებთან) — ანგარიშით 3,5:0,5, სამი (არგენტინასთან, ირლანდიასა და რუმინეთთან) — ანგარიშით 3:1, ოთხი (გდრ-ის, იუგოსლავიის, ჩეხოსლოვაკიისა და აშშ-ის გუნდებთან) — მინიმალური უპირატესობით — 2,5:1,5 და მხოლოდ ერთი ფრე — უნგრელებთან (2:2). საერთო შედეგი — 39,5 ქულა 52-დან მიახლოებით 76 პროცენტით უფრო მაღალი მაჩვენებელია წინა ორ ოლიმპიადასთან შედარებით. 52 პარტიიდან ჩვენმა დიდოსტატებმა მოიგეს 28, ფრედ დაამთავრეს 23 და მხოლოდ 1 წააგეს. გუნდში ყველას მშვენიერი მაჩვენებელი აქვს, განსაკუთრებით კი, ტ. პეტროსიანსა და მ. ტალს.

სანტა-მონიკეში წარუმატებლობის შემდეგ მსოფლიო ჩემპიონმა ბრწყინვალედ ითამაშა და ძალიან მაღალ შედეგს მიაღწია — 11,5 ქულას 13-დან! როგორც ცნობილია, სწორედ პირველ დაფაზეა ყველაზე დიდი კონკურენცია. პირველ დაფაზე საშუალო გუნდებშიც კი გამოცდილი ოსტატები თამაშობენ. ფინალში გასულ კოლექტივებზე ხომ თქმა არ გინდათ: უმეტესად აქ დიდოსტატები — მსოფლიო პირველობის პრეტენდენტები იბრძვიან პირველ დაფებზე.

მ. ტალი მესამე დაფაზე თამაშობდა და გუნდში აბსოლუტურად საუკეთესო შედეგს მიაღწია: 12 ქულა 13-დან! დანარჩენთა მაჩვენებლები ასეთია: ბ. სპასკი (მეორე დაფა) — 10 ქულა 15-დან, ლ. შტეინი (მეოთხე დაფა) — 9 12-დან, ვ. კორჩნოი (პირველი სათადარიგო) — 10,5 13-დან, ლ. პოლუგაევსკი (მეორე სათადარიგო) — 11 14-დან.

ამ შედეგებიდან ჩანს, რომ ცნება „სათადარიგო“ ჩვენს გუნდში პირობით ხასიათს ატარებდა. ექვსი ერთნაირი სიძლიერის მოთამაშის არსებობა საბჭოთა მწვრთნელებს შემადგენლობის მანევრირებისა და მეტოქეებისთვის სიურპრიზების მოწყობის შესაძლებლობას აძლევდა.

II ადგილზე კუბაში წარმატებით მოასპარეზე ამერიკელები არიან — 34,5 ქულა. პირველ ოლიმპიადასთან შედარებით მათ საგრძნობლად გააუმჯობესეს თავიანთი შედეგები და მეექვსედან მეორე ადგილზე გადაინაცვლეს. გუნდის ლიდერმა რ. ფიშერმა გვიჩვენა, რომ მსოფლიო პირველობაზე მომავალ შეჯიბრებაში მისი სახით სახიფათო კონკურენტი გვეყოლება. ფიშერს მშვენიერი შედეგი აქვს პირველ დაფაზე — 15 ქულა 17-დან.

III ადგილის ბედი ბოლო წუთებში გადაწყდა. იუგოსლავიისა და უნგრეთის ორთაბრძოლა ბრინჯაოს მედლების დაუფლებისთვის საოცრად შეუპოვარ და დაძაბულ ვითარებაში მიმდინარეობდა. უნგრელები ფინიშთან წინ გაიჭრნენ და თუმცა იუგოსლავიელებმა მათთან ერთად „გადალახეს“ საფინიშო ხაზი, კოეფიციენტების ცხრილით მესამე ადგილზე უნგრელები აღმოჩნდნენ. ეს ჩვენი უნგრელი მეგობრების დიდი გამარჯვებაა.

ფინალში ჩვეულებისამებრ მაღალი ადგილები დაიკავეს არგენტინის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთისა და რუმინეთის გუნდებმა, რომლებმაც კიდევ ერთხელ დაამტკიცეს თავიანთი კლასი.

უძლიერესთა ათეულში შევიდნენ, აგრეთვე, გდრ-ისა და დანიის გუნდები. განსაკუთრებით საინტერესოა გერმანელთა წარმატება. წინა ოლიმპიადის შესარჩევ ჯგუფში ისინი კანადელებთან დამარცხდნენ და ფინალში ვერ გავიდნენ. მათ ახლაც კანადელებთან ბრძოლა ხვდათ წილად, მაგრამ ამჯერად გდრ-ის მოჭადრაკეებმა რევანში აიღეს და უძლიერესთა ჯგუფში მოხვდნენ.

დიდი აღმავლობით იბრძოდნენ კუბელები. ფინალში მათი გასვლა, მით უმეტეს, ჰოლანდიის — ამ უდიდესი საჭადრაკო კულტურის მქონე ქვეყნის ჩამოტოვება, უდავოდ სერიოზული წარმატებაა.

ოლიმპიადის დამთავრება შეუფარდეს დიდი კუბელი მოჭადრაკის ხოსე რაულ კაპაბლანკას დაბადების დღეს. ეს დღე ჰავანაში მოჭადრაკეთა უზარმაზარ დღესასწაულად იქცა, რომელზეც ერთდროული თამაშის მასობრივი სეანსი შედგა. მასში 7000 კაცმა მიიღო მონაწილეობა, მათ შორის, კუბის პრემიერ-მინისტრმა, დოქტორმა ფიდელ კასტრომ და მთავრობის წევრებმა.

სამშობლოში გამგზავრების წინ 52 ქვეყნის წარმომადგენლებმა ულრმესი მადლობა გადაუხადეს მასპინძლებს ამ საინტერესო შეჯიბრების შესანიშნავად ჩატარებისთვის.

შვეიცარიაში შეხვედრამდე, სადაც 1968 წლის შემოდგომაზე შემდეგი, XVIII ოლიმპიადა ჩატარდება!

## 1 სანტიმეტრიღა დარჩა

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მძლეოსანმა ნი ჩჟი-ცინმა მსოფლიოს პირველად შარშან გააცნო თავი, როცა 20 ოქტომბერს უხანში გამართულ ტურნირში 225 სმ სიმაღლე დაძლია და აზიის ახალი რეკორდი დაამყარა. ამ სპორტსმენს მაშინ დიდ მერმისსა და ვ. ბრუმელის მემკვიდრეობას უწინასწარმეტყველებდნენ. მაგრამ ისე მიილია ერთი წელი, რომ ჩჟი-ცინმა საკუთარი შედეგის მხოლოდ ერთხელ გამეორება შეძლო. და აი, გუშინწინ ნი ჩჟი-ცინმა ახალი „კოსმოსური“ ნახტომი გააკეთა. პნომპენში, სადაც აზიის ქვეყნების სპორტული თამაშები მიმდინარეობს, მან 227 სანტიმეტრი გადალახა. ეს კი 1 სანტიმეტრით ნაკლებია ვ. ბრუმელის მსოფლიო რეკორდზე.



△ ო ს ლ ო. შვეციის დეპეშათა სააგენტოს ყოველწლიური ტრადიციული გამოკითხვის შედეგების მიხედვით, მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენ ქალად აღიარებულია ჩეხოსლოვაკიელი ტანმოვარჯიშე ვერა ჩასლავსკა. II ადგილი მიეკუთვნა საბჭოთა ტანმოვარჯიშეს ნატალია კუჩინსკაიას, III — პოლონელ მძლეოსანს ირენა კირშენშტეინს.

△ **რომი.** 50 კმ-ზე სპორტულ სიარულში ევროპის ჩემპიონმა, იტალიელმა პამიჩმა გაიმარჯვა რომიდან ალბანოს ტბამდე გამართულ ტრადიციულ ტურნირში. 32 კმ მან სარეკორდო დროში (2.21,0) გაიარა.

△ **ნიუ-იორკი. თხილამურებით წყალზე ხტომაში 24 წლის ე. პატერსენმა მსოფლიოს ახალი რეკორდი დაამყარა — 38,10 მეტრი. ეს შედეგი 310 სანტიმეტრით ჯობს იტალიელი ი. კრეალიანის ძველ მიღწევას.**

△ მ ე ლ ბ უ რ ნ ი. აქ გაიმართა მძლეოსანთა მორიგი ტურნირი, სადაც რამდენიმე კარგი შედეგი იქნა ნაჩვენები. აი, ისინიც: 440 იარდზე რბენა — ედი — 46,7, 1 მილი — უელერი — 4.00,9 (კლარკი მას 3 წამით ჩამორჩა), 3 მილი—ო'ბრაიენი — 13.13,0, სიმაღლეზე ხტომა — პეკჰამი — 215 სმ, სიგრძეზე ხტომა — კრაული — 782 სმ, შუბის ტყორცნა — კარლსონი — 80,10 მ.



დაიწყო საერთაშორისო მატჩების სეზონი შაიბიან ჰოკეიში. ჩეხოსლოვაკიელებთან გამართული მატჩების შემდეგ საბჭოთა სპორტსმენებმა უმასპინძლეს შვეციის ეროვნულ ნაკრებს. ისევე, როგორც ჩეხოსლოვაკიელებთან მატჩებში, მასპინძლებმა ამჯერადაც ერთი შეხვედრა მოიგეს, ხოლო მეორე — წააგეს. პირველ მატჩში ანგარიში იყო 8:3, მეორეში — 2:3.

ს უ რ ა თ ზ ე: ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირის ნაკრებთა პირველი მატჩის მომენტი. დაძაბული ბრძოლა მასპინძელთა კართან.

ფოტო ვ. შანდრინისა და ვ. უნ და-სინისა. (საკდესი).

ფეხბურთი ფეხბურთი

## ჰოლანდია — დანია 2:0

ევროპის ჩემპიონატის მორიგ შესარჩევ მატჩში როტერდამში ერთმანეთს შეხვდნენ V ჯგუფის წარმომადგენლები — ჰოლანდიისა და დანიის ნაკრები გუნდები.

გაიმარჯვეს ჰოლანდიელებმა — 2:0.

## სხვის მინდორზეც შეტევა!

ნანტში შედგა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების პირველი მერვედფინალური მატჩი საფრანგეთის ჩემპიონ „ნანტსა“ და შოტლანდიის ჩემპიონის—გლაზგოს „სელტიკს“ შორის.

მე-17 წუთზე ფრანგებმა გახსნეს ანგარიში, რასაც მოჰყვა გლაზგოელთა შეტევები და მაკ-ბრაიდის საპასუხო გოლი — 1:1.

მეორე ნახევარში „სელტიკმა“ სხვის მინდორზე თავდაცვითი ოპერაციების შეტევა არჩია. ფიზიკურად შესანიშნავად მომზადებულმა შოტლანდიელებმა დაჯაბნეს საფრანგეთის ჩემპიონი: მათმა თავდამსხმელებმა ლენოქსმა და ჩალმერსმა კიდევ 2 ბურთი გაიტანეს „ნანტის“ კარში. „სელტიკმა“ გაიმარჯვა — 3:1. განმეორებითი მატჩი შედგება 7 დეკემბერს. (საქ. ინფ.).



## 30 ნოემბერს...

## თასის მფლობელი — მეოთხედფინალში

მადრიდში ჩატარდა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების მერვედფინალური საპასუხო მატჩი ადგილობრივ „რეალსა“ და „მიუნჰენ 1860“-ს (გფრ) შორის (პირველი შეხვედრა დამთავრდა გერმანელთა გამარჯვებით — 1:0).

ანგარიში მე-13 წუთზე გახსნა ბრიუნენმაიერმა. „რეალმა“ ტემპს უმატა და მალე ველოსოს გადაცემიდან გროსომ თავური დარტყმით ანგარიში გაათანაბრა — 1:1. 34-ე წუთზე მასპინძელთა მარცხენა გარემარბმა ჰენტომ მოაწოდა კუთხური. მაუნჰენელთა მეკარე რადენკოვიჩმა მოიგერია ბურთი, მაგრამ იქვე გაჩნდა ველოსო და ანგარიში გაზარდა — 2:1.

შესვენების შემდეგ სურათი არ შეცვლილა. „რეალის“ თავბრუდამხვევი იერიშების მოგერიება გერმანელთათვის სულ უფრო ძნელი ხდებოდა. და აი, 52-ე წუთზე პირის „სოლო“ გოლით დამთავრდა — 3:1. „რეალმა“ გაიმარჯვა და მეოთხედფინალში გავიდა.

(საქ. ინფ.).

## 2:6 და გაძევებული პელე

ამ მატჩში ყველაფერი მოულოდნელი იყო. ბრაზილიური გუნდების ტრადიციული ტურნირის პირველ ფინალურ მატჩში სახელგანთქმულმა „სანტოსმა“ ბელუ-ორიზონტიში წააგო ადგილობრივ „კრუზეიროსთან“ — 2:6. თანაც, მატჩის დამთავრებამდე 15 წუთით ადრე პელე მინდვრიდან გააძევეს.

„კრუზეიროს“ მოთამაშეებმა (არც ერთი მათგანი ქვეყნის ნაკრებში არ შედის) 70 ათასი მაყურებლის წინაშე დაჩაგრეს სახელგანთქმული გუნდის ფეხბურთელები. 8 ბურთი „სანტოსის“ კარში გაიტანა ლოპესმა.

ამავე გუნდების მეორე ფინალური მატჩი გაიმართება 7 დეკემბერს სან-პაულუში.

## თასების მფლობელთა თასზე

სოფიაში ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების საპასუხო მერვედფინალურ მატჩში შეხვდნენ ადგილობრივი „სლავია“ და საფრანგეთის „რესინგ-სტრასბურგი“ (პირველი მატჩი მოიგეს ფრანგებმა — 1:0). ამჯერად აშკარა იყო ბულგარელთა უპირატესობა: მათ 2 „მშრალი“ გოლი გაიტანეს „რესინგის“ კარში და მეოთხედფინალში გავიდნენ.

ლაიპციგში ადგილობრივმა „ჰემმა“ მოუგო ლიეჟის „სტანდარდს“ — 2:1. განმეორებითი მატჩი შედგება 14 დეკემბერს ბელგიაში.

## „მანჩესტერ იუნაიტედი“ წინ გავიდა

ჩატარდა ინგლისის ჩემპიონატის ერთადერთი, მაგრამ ძალზე მნიშვნელოვანი მატჩი: ლესტერში ადგილობრივი „ლესტერსიტი“ შეხვდა „მანჩესტერ იუნაიტედს“. მანჩესტერელთა თავდასხმას „დირიჟორობდა“ ბ. ჩარლტონი და სწორედ მისი გადაცემიდან ლოუმ და ბესტმა ორჯერ აიღეს ლესტერელთა მეკარე ბენქსის კარი.

მასპინძლებმა მხოლოდ 1 საპასუხო გოლის გატანა შეძლეს.

გამარჯვებასთან (2:1) ერთად, „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ჩემპიონატის ლიდერობაც დაისაკუთრა.

(საქ. ინფ.).

## ბაზრობაზეა თასზე

სეტუბალში (პორტუგალია) ადგილობრივი „ვიტორია“ გათამაშების მეორე წრის საპასუხო მატჩში შეხვდა ტურინის „იუვენტუსს“ (პირველი შეხვედრა მოიგეს იტალიელებმა — 3:1).

უპირატესობა ამჯერადაც იტალიელთა მხარეზე იყო. მენიკელიმ და დელ სოლმა 2 „მშრალი“ გოლი გაიტანეს და „იუვენტუსი“ 2 გამარჯვების შედეგად (5:1) შემდეგ წრეში გავიდა.

(საქ. ინფ.).

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

## თბილისში!

**ფეხბურთი.** „დინამოს“ სტადიონი. 5 დეკემბერი. კონსტიტუციის დღისადმი მიძღვნილი ჭაბუკთა ტურნირი. „დინამო“ (თბილისი) — „ლოკომოტივი“ (თბილისი). დასაწყისი 13 ს. საქართველო (ნაკრები) — ახალგაზრდობის საფეხბურთო სკოლა. დასაწყისი 15 ს.

ИНДЕКС 66113 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. 11 უე 12168